ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №60 სხდომის ოქმი

2012 წლის 23 მარტი **ქ. თბილისი**

დღის წესრიგი:

1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში დავით აფრასიძის, მაია როგავას, მარინე ჩხიკვიშვილისა და მიხეილ ელაშვილის უფლებამოსილების ცნობად მიღება;
2. აკადემიური საბჭოს მდივნის არჩევა;
3. აკადემიური შტატის ფაკულტეტებზე გადატანის გამო აკადემიური საბჭოს წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტა აკადემიური საბჭოს შემდეგი წევრებისათვის: მაია თევზაძე, ნიკოლოზ მაღლაფერიძე, გია ნოდია, ოთარ აბდალაძე, მალხაზ მაყაშვილი, გიორგი მენაბდე, გიგა ზედანია, ბელა წიფურია, ლევან ხეთაგური, ზურაბ თავართქილაძე, გიორგი ხიმშიაშვილი, რევაზ სოლომონია, ივანე მურუსიძე, გიორგი ბახტაძე;
4. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მ/შ ნინო ჯავახიშვილის მოხსენებითი ბარათის განხილვა მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესიულ პროგრამებზე: დრამის რეჟისორი - რეპეტიტორები (V საფეხური), თეატრისა და კინოს მხატვარ-დეკორატორი (IV საფეხური); თეატრისა და კინოს მხატვარ - დეკორატორი (V საფეხური), სასცენო ხელოვნების ოსტატი (IV საფეხური); სცენის მულტიმედია-დიზაინი (IV საფეხური). აღნიშნულ პროგრამებზე სტუდენტების მიღების შეწყვეტასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება;
5. საინჟინრო ფაკულტეტზე ექსპერიმენტული ფიზიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე და სამართლის მიმართულებით ერთი სრული პროფესორის საშტატო ერთეულზე აკადემიური კონკურსის გამოცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
6. პროფესორ ნინო დობორჯგინიძის განცხადების განხილვა ენათმეცნიერების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე კონკურსის გამოცხადების შესახებ;
7. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური ნეირომეცნიერებების მიმართულებით სრული პროფესორის, სიმონ სურგულაძის განცხადების გახილვა „სოციალური და აფექტური ნეირომეცნიერებების ლაბორატორიის“ შექმნასთან დაკავშირებით და აღნიშნული ლაბორატორიისათვის მკვლევრის თანამდებობაზე საშტატო

ერთეულის შექმნა, ასევე ნეიროფსიქოლოგიის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადება;

8. მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფ. გ. მენაბდის განცხადების განხილვა მოსკოვის ბურდენკოს ინსტიტუტის ნეიროქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ დავით ფიცხელაურისთვის „მოწვეული პროფესორის“ სტატუსის მინიჭების შესახებ;
9. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მკვლევრის თანამდებობაზე დასაქმების პირობების შესახებ წესში ცვლილებების განხილვა და დამტკიცება;
10. მოქალაქე ვლადიმერ ახალაიას განცხადების განხილვა მისთვის საპატიო პროფესორის სტატუსის მინიჭების შესახებ;
11. 2012 წლის ბიუჯეტის ცვლილებების განხილვა;
12. აკადემიური საბჭოს მიერ გამოცხადებული კონკურსების განხილვა და შედეგების დამტკიცება სამართლის მიმართულებით სრული პროფესორის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე, არქიტექტურის მიმართულებით 1 სრული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე, ბიზნესის მიმართულებით 1 სრული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე;
13. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე თეონა (თეო) ყაველაშვილის არჩევა;
14. დოქტორანტ თინათინ ჭინჭარაულის დაფინანსების საკითხის განხილვა ქცევით ანალიზში BCBA დონის შესაბამისი კურსების დისტანციურად შესწავლასთან დაკავშირებით;
15. სპორტის ფაკულტეტის მილევად რეჟიმში გადაყვანის საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
16. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესის განხილვა.
17. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ბიზნესის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე, ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე კონკურსის გამოცხადების შესახებ.
18. საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსის ცვლილების საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. დავით აფრასიძე - სხდომის მდივანი;
3. მაია როგავა;
4. მარინე ჩხიკვიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

2012 წლის 23 მარტის აკადემიური საბჭოს ხდომაზე დადგინდა:

1. **დადგინდეს** - ცნობად იქნას მიღებული აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში დავით აფრასიძის (მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი), მაია როგავას (ბიზნესის ფაკულტეტი), მარინე ჩხიკვიშვილის (სპორტის ფაკულტეტი) და მიხეილ ელაშვილის (საინჟინრო ფაკულტეტი) უფლებამოსილება აკადემიური საბჭოს წევრად ამ აკადემიური საბჭოს ვადით, აღნიშნული ცვლილება გამოიწვია უნივერსიტეტის წესდებაში 2012 წლის 16 თებერვლის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულმა ცვლილებებმა და ინსტიტუტებში არსებული პროფესორების საშტატო ერთეულის ფაკულტეტზე გადატანამ. აკადემიური საბჭოს წევრების ცვლილება ჩაითვალოს 2/3 -ით აკადემიური საბჭოს განახლებად.
2. **დამტკიცდეს** - აკადემიური საბჭოს მდივნად არჩეულ იქნას მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სრული პროფესორი დავით აფრასიძე.
3. **დადგინდეს** - აკადემიური შტატის ფაკულტეტებზე გადატანის გამო აკადემიური საბჭოს წევრობის უფლებამოსილება შეუწყდეთ აკადემიური საბჭოს შემდეგ წევრებს: ნიკოლოზ მაღლაფერიძეს, გია ნოდიას, ოთარ აბდალაძეს, მალხაზ მაყაშვილს, გიორგი მენაბდეს, გიგა ზედანიას, ბელა წიფურიას, ლევან ხეთაგურს, ზურაბ თავართქილაძეს, გიორგი ხიმშიაშვილს, რევაზ სოლომონიას, ივანე მურუსიძეს, გიორგი ბახტაძეს. ხოლო მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორს, მაია თევზაძეს აკადემიური საბჭოს წევრობის უფებამოსილება შეუწყდეს პირადი განცხადების საფუძველზე.
4. **დამტკიცდეს** - შეწყდეს პროფესიული სტუდენტების მიღება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის შემდეგ პროფესიულ პროგრამებზე: დრამის რეჟისორი - რეპეტიტორები (V საფეხური), თეატრისა და კინოს მხატვარ-დეკორატორი (IV

საფეხური); თეატრისა და კინოს მხატვარ - დეკორატორი (V საფეხური), სასცენო ხელოვნების ოსტატი (IV საფეხური); სცენის მულტიმედია-დიზაინი (IV საფეხური).

5. **დამტკიცდეს** - გამოცხადდეს ღია აკადემიური კონკურსი საინჟინრო ფაკულტეტზე ექსპერიმენტული ფიზიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე. აკადემიური კონკურსის შედეგად შემოსული განაცხადები განიხილოს საინჟინრო ფაკულტეტმა და გამოავლინოს გამარჯვებული.
6. **დამტკიცდეს** - გამოცხადდეს ღია აკადემიური კონკურსი მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენათმეცნიერების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე. შემოსული განაცხადები განიხილოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტმა და გამოავლინოს გამარჯვებული.
7. **დამტკიცდეს** - უნივერსიტეტის ფარგლებში შეიქმნას „სოციალური და აფექტური ნეირომეცნიერებების ლაბორატორია“, აღნიშნული ლაბორატორიისათვის მკვლევრის თანამდებობაზე მოხდეს თანამშრომლის მიღება. ასევე გამოცხადდეს ღია კონკურსი ნეიროფსიქოლოგიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე. აღნიშნული კონკურსის ფარგლებში შემოსული განცხადებები განიხილოს და გამარჯვებული გამოავლინოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტმა.
8. **დამტკიცდეს** - მიენიჭოს მოსკოვის ბურდენკოს ინსტიტუტის ნეიროქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ დავით ფიცხელაურს „მოწვეული პროფესორის“ სტატუსი.
9. **დამტკიცდეს - გაუქმდეს** 2011 წლის 30 ნოემბრის აკადემიური საბჭოს № 57 სხდომის ოქმით მიღებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მკვლევრის თანამდებობაზე დასაქმების პირობების“ შესახებ წესი. აღნიშნული წესის ნაცვლად დამტკიცდეს ამავე სათაურის წესი თანდართული ახალი რედაქციით.
10. **დამტკიცდეს** - უარი ეთქვას მოქალაქე ვლადიმერ ახალაიას „საპატიო პროფესორის“ სტატუსის მინიჭებაზე.
11. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას 2012 წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტის ცვლილებები წარმოდგენილი სახით.
12. **დამტკიცდეს** - 2011 წლის 29 დეკემბრის აკადემიური საბჭოს №58 სხდომის ოქმის საფუძველზე გამოცხადებულ აკადემიურ კონკურსებში უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 42 მუხლის 1.[1] პუნქტის გათვალისწინებით გამარჯვებულად გამოვლინდნენ სამართლის ფაკულტეტის სამართლის მიმართულებით სრული პროფესორის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე - გიორგი პაპუაშვილი, კონსტანტინე ვარძელაშვილი, გია გეწაძე, საინჟინრო ფაკულტეტის არქიტექტურის მიმართულებით სრული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე - ალექსანდრე რამიშვილი, ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით სრული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე - მიხეილ ბატიაშვილი. დაევალოს ადმინისტრაციას გამარჯვებულ პროფესორებთან ხელშეკრულებების გაფორმება 3 წლის ვადით.

13. **დამტკიცდეს** - არჩეულ იქნას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე თეონა (თეო) ყაველაშვილი.
14. **დადგინდეს** - მიეცეს თანხმობა დოქტორანტ თინათინ ჭინჭარაულს ქცევით ანალიზში BCBA დონის შესაბამისი კურსების დისტანციურად შესწავლასთან დაკავშირებით დაფინანსების გამოყოფაზე შემდეგი პირობების დაცვით: 1. განათლების მიღების და სერტიფიკატის აღების შემდეგ უნდა ასწავლოს ეს სასწავლო კურსი მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით; 2. განათლების მიღების პერიოდში უნდა დაიწყოს მუშაობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც პროფესორმა და მკვლევარმა; 3.ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობის ვალდებულება ამოიწურება მაშინ, როდესაც მის მიერ ჩატარებული ტრენინგ-კურსებით მოხდება უნივერსიტეტის მიერ გადახდილი თანხის დაფარვა; 4. თუკი ამ პერიოდის ამოწურვამდე გადაწყვეტს დატოვოს უნივერსიტეტი, მან უნდა აუნაზღაუროს უნივერსიტეტს სწავლასა და სერტიფიკატის მიღებაზე დახარჯული თანხა, ინფლაციის ოფიციალური კურსის გათვალისწინებით.
15. **დადგინდეს** - ვინაიდან სპორტის ფაკულტეტის სასწავლო ბაზას წარმოადგენდა უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული თბილისში, უნივერსიტეტის ქ. 6-ში განთავსებული სპორტკომპლექსი ,,ქარიშხალა", რომელიც სახელმწიფომ უკან დაიბრუნა და გაასხვისა, უნივერსიტეტი მოკლებულია შესაძლებლობას, განახორციელოს სპორტული პროგრამები. ზემოთ მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, სპორტის ფაკულტეტი გადავიდეს მილევად რეჟიმში. დაევალოს სხვა დანარჩენ ფაკულტეტებს, უზრუნველყონ სამოქმედო გეგმის მომზადება სპორტის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სხვა ფაკულტეტზე გადასვლასთან დაკავშირებით. აღნიშნული ფაკულტეტის მილევადი რეჟიმის დასრულების შემდგომ უნივერსიტეტში შეიქმნას „სპორტის კვლევითი ცენტრი".
16. დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი წარმოდგენილი სახით.
17. 2012 წლის 24 აპრილიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ბიზნესის მიმართულების ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე. შემოსული განცხადებები განიხილოს და გამარჯვებული გამოავლინოს ფაკულტეტის საბჭომ.
18. დადგინდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ეთხოვოს საქართვლოს მთავრობას, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, მოხდეს სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსის ცვლილება არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად.

საბჭოს თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

საბჭოს მდივანი

დავით აფრასიძე